MED EL

გაკვეთილების კრებული

10 ხილი და ბოსტნეული

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. მოსავლის აღება

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. ბოსტნეულის წვნიანი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. საყიდლებზე წავედი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. ხილის თასი

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ხილი და ბოსტნეული: პირველი დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

მოსავლის აღება **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის ბარათები • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის გრაფიკი • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის ბარათები • ხილი და ბოსტნეული • დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის გრაფიკი • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · ხილი და ბოსტნეული	• აკეთებს საკვების აღნიშვნას • ახარისხებს ხილს და ბოსტნეულს სხვისი დახმარებით	• ახდენს ერთი და იგივე საგნების იდენტიფიცირებას • იწყებს დათვლას სხვისი დახმარებით
ბოსტნეულის წვნიანი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა2	• მიჰყვება სიმღერას სურათებიანი წიგნის დახმარებით	• იყენებს : შიგნთ/ გარეთ	• იხსენებს მოქმედებების თანმიმდევრობას სიმღერაში.
საყიდლებზე წავედი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა3 • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა3 საყიდლების კალათა	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · ხილი ან ბოსტნეული (მოკლე ფრაზის ბოლოში) • იგებს მნიშვნელობას: ჩემი, შენი	• ამბობს ერთ სიტყვას ხილის/ბოსტნეულის მოსანიშნად • იწყებს გამყოფი სიტყვის გამოყენებას. მაგალითად: შეკვრა, კონა.	• იმახსოვრებს ერთ საგანს
ხილის თასი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა4 • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა4 თასი	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · ხილი · ფერები	ცდილობს თქვას ხილის სახელები ცდილობს თქვას ფერები	• რიგრიგობით აფერადებს. • უერთდება საუბარს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოსწონს და არ მოსწონს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ხილი და ბოსტნეული: მეორე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

მოსავლის აღება **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის ბარათები • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის გრაფიკი • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის ბარათები • ხილი და ბოსტნეული • დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის გრაფიკი • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · ხილი და ბოსტნეული	• იყენებს კავშირს: და • იყენებს ზმნას + საგანი • იყენებს რიცხვით განმსაზღვრელს + ხილი ან ბოსტნეული	• ახდენს საგნების იდენტიფიცირებას, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა • ითვლის
ბოსტნეულის წვნიანი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა2	• მიჰყვება სიმღერას სურათებიანი წიგნის დახმარებით	• სიმღერის თითოეულ გვერდზე იმეორებს 2-3 სიტყვას	• იხსენებს მოქმედებების თანმიმდევრობას სიმღერაში.
საყიდლებზე წავედი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა3 • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა3 საყიდლების კალათა	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას · გამყოფი სიტყვა + საგანი	• იყენებს გამყოფ სიტყვას + ხილს/ ბოსტნეულს; მაგალითად: ბანანის შეკვრა	• იმახსოვრებს ორ საგანს
ხილის თასი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა4 • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა4 თასი	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას · ზედსართავი + არსებითი სახელი	• ამბობს ფერს + ხილი • იყენებს ზმნას: გაფერადება	• რიგრიგობით აფერადებს. • უერთდება საუბარს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოსწონს და არ მოსწონს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ხილი და ბოსტნეული: მესამე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

მოსავლის აღება **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის ბარათები • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის გრაფიკი • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის ბარათები • ხილი და ბოსტნეული • დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის გრაფიკი • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 დახარისხების დაფა	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: · სამი არსებითი სახელი: ხილი / ბოსტნეული	• იყენებს კონკრეტულ ზმნებს • იყენებს მრავლობით რიცხვებს	• ხვდება როგორ იზრდება ხილი და ბოსტნეული.
ბოსტნეულის წვნიანი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა2	• მიჰყვება სიმღერას სურათებიანი წიგნის დახმარებით	• უერთდება სიმღერის სიტყვებს • იყენებს ზმნებს წარსულ დროში	• იხსენებს მოქმედებების თანმიმდევრობას სიმღერაში.
საყიდლებზე წავედი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა3 • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა3 საყიდლების კალათა	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: · ხილი ან ბოსტნეული	• იყენებს გამყოფ სიტყვას + ხილს/ ბოსტნეულს; მაგალითად: ბანანის შეკვრა • იყენებს ზმნებს წარსულ დროში	• იმახსოვრებს სამ საგანს
ხილის თასი **რესურსები** • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა4 • ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა4 თასი	• აღწერილობით ახდენს ხილის / ბოსტნეულის იდენტიფიცირებას	• იყენებს ზმნას მომავალ დროში: გავაფერადებ	• იყენებს სტატიკურ ზმნას: ფიქრი • უერთდება საუბარს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოსწონს და არ მოსწონს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. მოსავლის აღება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ხილის და ბოსტნეულის ბარათები. შეინახეთ ისინი ცალკე, თუ მხოლოდ ერთის გაკეთება გსურთ.

თქვენ ერთად უნდა დაალაგოთ ხილისა და ბოსტნეულის ბარათები გრაფიკზე და შემდეგ დათვალოთ რამდენი გაქვთ. პირველ დონეზე მყოფი ბავშვისთვის შეგიძლიათ დააწყოთ ბოსტნეულის ბარათები და ბოსტნეულის გრაფიკი ერთ მხარეს და გააკეთოთ ეს ცალცალკე.

1. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
2. აიღეთ პირველი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე თქვით რა არის მასზე გამოსახული.
3. განათავსეთ იგი გრაფიკზე მის შესაბამის გამოსახულებაზე.
4. შემდეგ ბავშვი მორიგეობით იღებს ბარათს, აღნიშნავს მას და ათავსებს გრაფიკზე.
5. გაიმეორეთ ყველა მოთამაშის ჩათვლით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

რესურსები

- ხილი და ბოსტნეული - d1 d2 d3 a1 ხილის ბარათები
- ხილი და ბოსტნეული - d1 d2 d3 a1 ხილის გრაფიკი
- ხილი და ბოსტნეული - d1 d2 d3 a1 ბოსტნეულის ბარათები
- ხილი და ბოსტნეული - d1 d2 d3 a1 ბოსტნეულის გრაფიკი
- მაკრატელი

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: საკვები; მაგალითად ქლიავი, სიმინდი.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა მასზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაუმატეთ მეტი ინფორმაცია. ისაუბრეთ იმაზე, ხილის ნაწილი გაქვთ, თუ ბოსტნეულის. ისაუბრეთ იმაზე, ვის მოსწონს ეს და გაქვთ თუ არა სახლში. პირველ დონეზე მყოფი ბავშვებისთვის გამოიყენეთ მოკლე წინადადებები, ხოლო ძირითად ინფორმაციაზე გააკეთეთ აკუსტიკური აქცენტირება. ეს ხილია. ეს მარწყვია. მე მიყვარს მარწყვი. მე ვიყიდე მარწყვი მაღაზიაში. მე მათ ვინახავ მაცივარში.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს საკვების იდენტიფიცირებას; მაგალითად ქლიავი, სიმინდი.
- ახარისხებს ხილს და ბოსტნეულს სხვისი დახმარებით.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: პირველ დონეზე მყოფმა ბავშვმა შეიძლება ვერ შეძლოს ბარათზე გამოსახული ხილის ან ბოსტნეულის სპონტანურად მონიშვნა. მიაწოდეთ ბავშვის კოპირების მოდელი და თუ ის ვერ შეძლებს საკვები პროდუქტის გამეორებას, გამოიყენეთ აკუსტიკური სენდვიჩის მეთოდი; წარმოთქვით საგანი, მიეცით ბავშვს ბარათზე შეხედვის საშუალება, შემდეგ კი კვლავ გაიმეორეთ სიტყვა.

გამოიყენეთ ვარიანტები: დაეხმარეთ ბავშვს სიტყვების ასოციაციების გაგებაში, სიტყვების კატეგორიებში კავშირების დამყარებით, მაგალითად, ხილისა და ბოსტნეულის კატეგორიებში. ახსენით ორივე გრაფიკი, განსაზღვრეთ კატეგორიები. ეს გვერდი ეკუთვნის ხილს.ეს გვერდი ეკუთვნის ბოსტნეულს. ახლა შეხედე. მე მაქვს სიმინდი. ეს ეკუთვნის ხილსთუ ბოსტნეულს.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი და იგივე საგნების იდენტიფიცირებას.
- იწყებს დათვლას სხვისი დახმარებით.

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: ისაუბრეთ, სანამ ამთხვევთ ბარათის სურათს და გრაფიკის სურათს. ეს ხელს შეუწყობს ბავშვს ახალი სიტყვების სწავლაში. ნახე, აი სიმინდი. ეს არის ბოსტნეული. ჩვენ ესენი უნდა დავდოთ ერთად. ერთი და იგივეა. შეხედე, ისინიემთხვევა.
ბარათების დამთავრების შემდეგ (ან თუ საკმარისად გააკეთეთ) რიგრიგობით დაითვალეთ თითოეული ხილი და თითოეული ბოსტნეული.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. მოსავლის აღება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ხილის და ბოსტნეულის ბარათები.

თქვენ ერთად უნდა დაალაგოთ ხილისა და ბოსტნეულის ბარათები გრაფიკზე და შემდეგ დათვალოთ რამდენი გაქვთ.

1. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
2. აიღეთ ორი ზედა ბარათი და სურათების ჩვენების გარეშე თქვით, რა არის ზედ გამოსახული.
3. განათავსეთ იგი გრაფიკზე მის შესაბამის გამოსახულებაზე.
4. შემდეგ ბავშვი მორიგეობით იღებს 2 ბარათს, აღნიშნავს მათ და ათავსებს გრაფიკზე.
5. გაიმეორეთ ყველა მოთამაშის ჩათვლით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.
6. დათვალეთ გრაფიკის თითოეული ზოლის ჯამი

რესურსები

- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის ბარათები
- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის გრაფიკი
- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის ბარათები
- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის გრაფიკი
- მაკრატელი

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: ხილი ან/და ბოსტნეული მაგალითად ვაშლი და სიმინდი.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა მასზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

სმენითი სენდვიჩი: თუ ბავშვს არ შეუძლია 2 საგნის გამეორება, კვლავ წარმოთქვით და გამოტოვებულ სიტყვებზეაკუსტიკური აქცენტირება დაამატეთ. თუ მას ისევ გაუჭირდება, აჩვენეთ ბარათები, შემდეგ დამალეთ და კვლავ წარმოთქვით სიტყვები.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს კავშირს: და.
- იყენებს ზმნას + საგანი; მაგალითად მოჩეხე ბანანები/მოჭერი ყურძენი/ამოთხარე კარტოფილი.
- იყენებს რიცხვით განმსაზღვრელს + ხილი ან ბოსტნეული; მაგალითად სამი ყვავილოვანი კომბოსტო.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: დაეხმარეთ ბავშვს სიტყვების ასოციაციების გაგებაში, სიტყვების კატეგორიებში კავშირების დამყარებით, მაგალითად, ხილისა და ბოსტნეულის კატეგორიებში. ახსენით ორივე გრაფიკი, განსაზღვრეთ კატეგორიები. ეს გვერდი ეკუთვნის ხილს.ეს გვერდი ეკუთვნის ბოსტნეულს. ახლა შეხედე. მე მაქვს სიმინდი. ეს ეკუთვნის ხილსთუ ბოსტნეულს.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაამატეთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ კრეფს ფერმერი ხილს ან ბოსტნეულს. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ბავშვის სიტყვების მარაგს ზმნებით გაამდიდრებთ. ეცადეთ გამოიყენოთ რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ზმნა. ფერმერმა უნდა ამოთხაროს კარტოფილი. ამოთხარე ისინი და შემდეგ ჩამოფერთხე მიწა.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს საგნების იდენტიფიცირებას, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა.
- ითვლის

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: ისაუბრეთ, სანამ ამთხვევთ ბარათის სურათს და გრაფიკის სურათს. ეს ხელს შეუწყობს ბავშვს ახალი სიტყვების სწავლაში. ნახე, მე მაქვს 2 სიმინდის ტარო. სიმინდი არის ბოსტნეული. ჩვენ ესენი უნდა დავდოთ ერთად, გრაფიკზე. ერთი და იგივეა. შეხედე, ისინიემთხვევა.
ბარათების დამთავრების შემდეგ (ან თუ საკმარისად გააკეთეთ) რიგრიგობით დაითვალეთ თითოეული ხილი და თითოეული ბოსტნეული.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. მოსავლის აღება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ხილის და ბოსტნეულის ბარათები.

თქვენ ერთად უნდა დაალაგოთ ხილისა და ბოსტნეულის ბარათები გრაფიკზე და შემდეგ დათვალოთ რამდენი გაქვთ.

1. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ ერთ შეკვრად გამოსახულებით ქვემოთ.
2. აიღეთ 3 ზედა ბარათი და სურათების ჩვენების გარეშე თქვით, რა არის ზედ გამოსახული.
3. განათავსეთ იგი გრაფიკზე მის შესაბამის გამოსახულებაზე.
4. შემდეგ ბავშვი მორიგეობით იღებს 3 ბარათს, აღნიშნავს მათ და ათავსებს გრაფიკზე.
5. გაიმეორეთ ყველა მოთამაშის ჩათვლით, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.
6. დათვალეთ გრაფიკის თითოეული ზოლის ჯამი

რესურსები

- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის ბარათები
- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ხილის გრაფიკი
- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის ბარათები
- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა1 ბოსტნეულის გრაფიკი
- მაკრატელი

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: ხილი ან/და ბოსტნეული მაგალითად ვაშლი, სიმინდი და კარტოფილი.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა მასზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

სმენითი სენდვიჩი:თუ ბავშვს არ შეუძლია 3 საგნის გამეორება, კვლავ წარმოთქვით და გამოტოვებულ სიტყვებზეაკუსტიკური აქცენტირება დაამატეთ. თუ მას ისევ გაუჭირდება, აჩვენეთ ბარათები, შემდეგ დამალეთ და კვლავ წარმოთქვით სიტყვები.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს კონკრეტულ ზმნებს; მაგალითად: მოჭერი ბანანები/დაკრიფე ყურძენი/ამოთხარე კარტოფილი.
- იყენებს მრავლობით რიცხვს; მაგალითად ბანანები, ყურძნები, კარტოფილები.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაამატეთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ კრეფს ფერმერი ხილს ან ბოსტნეულს. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ბავშვის სიტყვების მარაგს ზმნებით გაამდიდრებთ. ეცადეთ გამოიყენოთ რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ზმნა. ფერმერმა უნდა ამოთხაროს კარტოფილი. ამოთხარე ისინი და შემდეგ ჩამოფერთხე მიწა.

აკუსტიკური აქცენტირება: როდესაც თითოეული ხილისა და ბოსტნეულის ჯამის დათვლას დაასრულებთ, დაეხმარეთ ბავშვს ყურადღება მიაქციოს მრავლობითი რიცხვის მარკერებს, ამისათვის ცოტა გაწელეთ სიტყვის ბოლოს "-ები"-ს წარმოთქმა. ესმის, რომ ზოგიერთი მრავლობითი რიცხვის წარმოთქმა უფრო რთულია, ვიდრე მხოლობითის. თუ ხილი ან ბოსტნეული ხმოვნით მთავრდება, ბავშვისთვის უფრო ადვილი იქნება მრავლობითი რიცხვის წარმოთქმა. ჩვენ გვაქვს ბანანების შეკვრა. -

მოსალოდნელი შედეგები

- ხვდება როგორ იზრდება ხილი და ბოსტნეული.

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: დაამატეთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იზრდება თითოეული ხილი და ბოსტნეული. შეგიძლიათ შეარჩიოთ უამრავი სურათი ინტერნეტში მოძიებით ან მოძებნოთ ბავშვთან ერთად, რათა მან მონაწილეობა მიიღოს საკუთარ სასწავლო პროცესში.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მოსავლის აღება



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მოსავლის აღება



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მოსავლის აღება

ხილი

					
ვაშლი	ბანანი	ფორთოხალი	მსხალი	ქლიავი	მარწყვი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მოსავლის აღება



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. მოსავლის აღება

					

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

1. მოსავლის აღება

ბოსტნეული

					
კომბოსტო	სტაფილო	სიმინდი	სოკო	ხახვი	კარტოფილი

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ბოსტნეულის წვნიანი.

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე; დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ პატარა გამოვიდეს. თითოეული გვერდი დაჭერით ოთხად.

რესურსები

- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა2
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ წიგნი „ბოსტნეულის წვნიანი“ და შემდეგ წაიკითხოთ იგი, შემდეგ კი იმღეროთ სიმღერა.

1. გვერდები მაგიდაზე დაალაგეთ.
2. აიღეთ სათაურის გვერდი.
3. ბავშვთან ერთად მოძებნეთ პირველი გვერდი და დადეთ სათაურის გვერდის ქვეშ.
4. გააკეთეთ იგივე ყველა გვერდისთვის და შემდეგ დაასტეპლერეთ წიგნი.
5. ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან ერთად, რიგრიგობით წაიკითხეთ წიგნის თითოეული გვერდი.
6. როდესაც წიგნის კითხვას დაასრულებთ, დაუბრუნდით დასაწყისს და წაიმღერეთ თითოეული გვერდი (ჰოკი პოკის მელოდიით).
7. თითოეულ გვერდზე დაამატეთ რამდენიმე მოქმედება, მაგალითად: სიმულაციის გაკეთება, რამის ჩადება/ამოღება /მორევა/ მარილის და პილპილის ჩაყრა/და ბოლოს მუცელზე ხელის მოსმა.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება სიმღერას სურათებიანი წიგნის დახმარებით.

ძირითადი სტრატეგიები

წიგნები, წიგნები, წიგნები: წიგნის ერთად დამზადება ხელს შეუწყობს ბავშვის წიგნიერების უნარის განვითარებაში. ისაუბრეთ, რათა მიიპყროთ ბავშვის ყურადღება წიგნის მახასიათებლებზე. ეს დიდი სურათი არის ყდა.შეხედე სათაურს: ბოსტნეულის წვნიანი. ეს წიგნი უნდა იყოსწვნიანზე. ჩვენ უნდა ვიპოვოთ გვერდი1. შეხედე რიცხვს ძირში. შემოატრიალე გვერდი ისე, რომ რიცხვი იყოსძირში. მაგარია. ახლა შეგვიძლია წავიკითხოთ სიტყვები. ნახესიტყვები.

მომიახლოვდი: წაახალისეთ ბავშვის მშობელთი/აღმზრდელი, რომ რიგრიგობით წაიკითხოთ წიგნის თითოეული გვერდი. თქვენს შორის წიგნის მაგიდაზე დადებით, საშუალება გეძლევათ ახლოს იყოთ ბავშვის აუდიო პროცესორთან და უზრუნველყოთ მისთვის მაქსიმალურად კარგი აუდიტორული სიგნალი.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს: შიგნით/გარეთ.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა თქვენს მიერ ნათქვამის წამღერება ხელს უწყობს ბავშვის ყურადღების მიპყრობას და დიდი ხნით შენარჩუნებას. სიმღერაში გამეორებები ბავშვს უადვილებს სიტყვების დამახსოვრებას და თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მას გაამყაროს "შიგნით/გარეთ" სიტყვების ცოდნა, ამ სიტყვების მოქმედებებთან გაერთიანებით.

სმენითი დასრულება: მას შემდეგ რაც თქვენს შვილს გაეცნობა სიმღერას და მოქმედებას, შეგიძლიათ სცადოთ სმენითი დასრულების მეთოდი, რათა წაახალისოთ ბავშვი სტრიქონის ბოლო სიტყვის წარმოთქვაში. დაიწყეთ ერთი სტროფის წამღერება, შემდეგ გაჩერდით ბოლო სიტყვის წინ, დაამატეთ სიტყვას "შიგნით"-ს მიმიკა ან ჟესტი, შეხედეთ ბავშვს და აგრძნობინეთ რომ ელოდებით. დედამ ხახვი ჩაყარა...

მოსალოდნელი შედეგები

- იხსენებს მოქმედებების თანმიმდევრობას სიმღერაში.

ძირითადი სტრატეგია

აკუსტიკური აქცენტირება: სიმღერისთვის ჟესტების და მოქმედებების სწავლა დაეხმარება ბავშვს მეხსიერების ზოგადი უნარების განვითარებაში. სიმღერა - ბუნებრივი აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა. ასევე, გააკეთეთ აქცენტი ყოველი სტრიქონის ერთ სიტყვაზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს თანმიმდევრობით დაუკავშიროს საკვანძო სიტყვა თითოეულ ჟესტს ან მოქმედებას.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ბოსტნეულის წვნიანი.

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე; დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ პატარა გამოვიდეს. თითოეული გვერდი დაჭერით ოთხად.

რესურსები

- ხილი და ბოსტნეული - დ1 დ2 დ3 ა2
- მაკრატელი და სტეპლერი

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ წიგნი „ბოსტნეულის წვნიანი“ და შემდეგ წაიკითხოთ იგი, შემდეგ კი იმღეროთ სიმღერა.

1. გვერდები მაგიდაზე დაალაგეთ.
2. აიღეთ სათაურის გვერდი.
3. ბავშვთან ერთად მოძებნეთ პირველი გვერდი და დადეთ სათაურის გვერდის ქვეშ.
4. გააკეთეთ იგივე ყველა გვერდისთვის და შემდეგ დაასტეპლერეთ წიგნი.
5. ბავშვის მშობელთან/აღმზრდელთან ერთად, რიგრიგობით წაიკითხეთ წიგნის თითოეული გვერდი.
6. როდესაც წიგნის კითხვას დაასრულებთ, დაუბრუნდით დასაწყისს და წაიმღერეთ თითოეული გვერდი (ჰოკი პოკის მელოდიით).
7. თითოეულ გვერდზე დაამატეთ რამდენიმე მოქმედება, მაგალითად: სიმულაციის გაკეთება, რამის ჩადება/ამოღება /მორევა/ მარილის და პილპილის ჩაყრა/და ბოლოს მუცელზე ხელის მოსმა.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება სიმღერას სურათებიანი წიგნის დახმარებით.

ძირითადი სტრატეგიები

წიგნები, წიგნები, წიგნები: წიგნის ერთად დამზადება ხელს შეუწყობს ბავშვის წიგნიერების უნარის განვითარებაში. ისაუბრეთ, რათა მიიპყროთ ბავშვის ყურადღება წიგნის მახასიათებლებზე. ეს დიდი სურათი არის ყდა.შეხედე სათაურს: ბოსტნეულის წვნიანი. ეს წიგნი უნდა იყოსბოსტნეულის წვნიანზე. ჩვენ უნდა ვიპოვოთ გვერდი 1. შეხედე რიცხვს ძირში. შემოატრიალე გვერდი ისე, რომ რიცხვი იყოსძირში. მაგარია. ახლა შეგვიძლია rწავიკითხოთ სიტყვები.

მომიახლოვდი: წაახალისეთ ბავშვის მშობელთი/აღმზრდელი, რომ რიგრიგობით წაიკითხოთ წიგნის თითოეული გვერდი. თქვენს შორის წიგნის მაგიდაზე დადებით, საშუალება გეძლევათ ახლოს იყოთ ბავშვის აუდიო პროცესორთან და უზრუნველყოთ მისთვის მაქსიმალურად კარგი აუდიტორული სიგნალი.

მოსალოდნელი შედეგები

- სიმღერის თითოეულ გვერდზე იმეორებს 2-3 სიტყვას.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: თქვენს მიერ ნათქვამის წამღერება ხელს უწყობს ბავშვის ყურადღების მიპყრობას და დიდი ხნით შენარჩუნებას. სიმღერაში გამეორებები ბავშვს უადვილებს სიტყვების დამახსოვრებას და თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მას გაამყაროს სიტყვების "შიგნით/გარეთ" და ახალი სიტყვების "მორევა/ დამატება"-ს ცოდნა, ამ სიტყვების მოქმედებებთან გაერთიანებით.

სმენითი დასრულება: მას შემდეგ რაც თქვენს შვილს გაეცნობა სიმღერას და მოქმედებას, შეგიძლიათ სცადოთ სმენითი დასრულების მეთოდი, რათა წაახალისოთ ბავშვი სტრიქონის ბოლო 2 ან 3 სიტყვის წარმოთქვაში. დაიწყეთ ერთი სტროფის წამღერება, შემდეგ გაჩერდით, შეხედეთ ბავშვს და აგრძნობინეთ რომ ელოდებით. მან დაამატა მარილი და პილპილი …

მოსალოდნელი შედეგები

- იხსენებს მოქმედებების თანმიმდევრობას სიმღერაში.

ძირითადი სტრატეგია

აკუსტიკური აქცენტირება: სიმღერისთვის ჟესტების და მოქმედებების სწავლა დაეხმარება ბავშვს მეხსიერების ზოგადი უნარების განვითარებაში. სიმღერა - ბუნებრივი აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა. ასევე, გააკეთეთ აქცენტი ყოველი სტრიქონის ერთ ან ორ სიტყვაზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს თანმიმდევრობით დაუკავშიროს საკვანძო სიტყვა თითოეულ ჟესტს ან მოქმედებას.

